სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01/485

ქ.რუსთავი

23 სექტემბერი 2013 წელი

ერთი მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კახა ბარათაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გლობალ არტი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო აღლაძის სახით სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე- $10^1$ მუხლის 3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის (გადაუდებელი აუცილებლობა) თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 „მხარე" - „შემსყიდველი" ან/და „მიმწოდებელი".

1.7 „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 თვითმმართველ ქალაქ რუსთავში ჭყონდიდელის უბნის ღონისძიების ჩატარების ორგანიზება (**CPV 79900000**)

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია დანართ №1-ში და დანართ №2-ში.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **3 500** (სამი ათას ხუთასი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 4. ანგარიშსწორების ფორმები დავადები

4.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღე.

4.4 დაფინანსების წყარო: 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

## 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან შპს „გლობალ არტი"–ს დირექტორი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) მომსახურების დასახელება;

ბ) მომსახურების ღირებულება;

გ) მომსახურების რაოდენობა.

## 6. მომსახურეობის გაწევის ვადა და ადგილი

6.1 მომსახურების გაწევის ადგილი განისაზღვრება ქალაქი რუსთავი, ჭყონდიდელის დასახლება, №41 ბაგა–ბაღის შენობა.

6.2 მომსახურების გაწევის ვადა: 2013 წლის 28 სექტემბერი.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული მომსახურება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სრულიად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

## 8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური (წარმოდგენილი მისი უფროსის სახით).

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9.პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების ღირებულების **0,5%** -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირეულების **5%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 11.დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| თვითმმართველი ქალაქი რუსთავი | შპს „გლობალ არტი" |
| მისრუსთავი, მ.კოსტავას გამზირი№20 | მის: ქ. თბილისი, თემქა, III მ/რ IVკვ კორ 67, ბ27 |
| საიდენტიფიკაციო კოდი №216433287 | საიდენტიფიკაციო კოდი №400009398 |
| სს „ლიბერთი ბანკი" | სს " საქართველოს ბანკი" |
| ბ/კ № LBRTGE22 | ბ/კ №BAGAGE22 |
| ა /ა № GE78LB0125148543037000 | ა\ ა№ GE85BG0000000280587300 |
| თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე | შპს „გლობალ არტი"-ს დირექტორი |

*კახა ბარამაშვილი*

*ნინო ალაძე*

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: იმედა ვარდიაშვილი

დანართი №1

| დასახელება | ღირებულება |
|---|---|
| გახმოვანების მომსახურეობით უზრუნველყოფა | 1500 |
| ტექნიკური აღჭურვილობა | 1000 |

| დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | სულ ჯამი |
|---|---|---|---|
| აიწონა–დაიწონა | 1 ცალი | 210 | 210 |
| საქანელა | 3 ცალი | 80 | 240 |
| სასრიალო | 1 ცალი | 550 | 550 |

"GLOBAL ART" LTD
GLOBAL ART
400009398
GEORGIA საქართველო

დანართი №2

| № | დასახელება | ტექნიკური მახასიათებლები |
|---|---|---|
| 1 | გახმოვანების მომსახურეობით უზრუნველყოფა | გახმოვანების აპარატურა უნდა იყოს არანაკლებ 5 კილოვატი სიმძლავრის;<br>4 ცალი სტაციონალური მიკროფონი;<br>2 ცალი რადიო მიკროფონი;<br>მიქშერი;<br>მინი სიდი ფლეიერი;<br>(ზემოაღნიშნული ტექნიკა უნდა იყოს ურთიერთთავსებადი) |
| 2 | ტექნიკური აღჭურვილობა | 1)პროექტორის ეკრანი ზომით არანაკლებ 2X2მ;<br>2)თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული სცენის მოწყობა–მონტაჟისა და დემონტაჟის, ასევე მისი ტრანსპორტირებით მომსახურეობა<br>(აღნიშნული ტრანსპორტირება განხორციელდება ქ.რუსთავის ტერიტორიაზე) |
| 3 | საჩუქრებით უზრუნველყოფა | აიწონა–დაიწონა<br>რაოდენობა:1 ცალი;<br>დამზადებული უნდა იყოს მეტალის კარკასისაგან და შედგებოდეს ხელის მოსაკიდისა და დასაჯდომისაგან;<br>ტიპი : განსაზღვრული უნდა იყოს 3-დან 6 წლამდე ბავშვებისათვის.<br><br>საქანელა<br>რაოდენობა:3 ცალი;<br>ტიპი: განსაზღვრული უნდა იყოს 4 წლამდე ბავშვებისათვის;<br>ჩასაჯდომის რაოდენობა და აღწერა: განიერი ერთადგილიანი მაღალი საზურგით - სიმყარისათვის.<br><br>სასრიალო<br>რაოდენობა:1 ცალი;<br>მაქსიმალური დატვირთვა 20 კგ;<br>უნდა იყოს ადვილად ასაწყობი და გამოყენებადი ერთდროულად რამოდენიმე ბავშვისათვის;<br>სასრიალო გამოყენებადი უნდა იყოს ნებისმიერი კლიმატის პირობებში; |

GLOBAL ART LTD
400009398
GEORGIA საქართველო